ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4833887

ნომერი: AR1723258

თარიღი : 10.12.2019

გაცემის თარიღი : 24.01.2020

გაცნობის თარიღი : 27.01.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შუშის , N38, (ბაღნარის N2ა) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაღნარი , N 2 ა (შუშის ქუჩა N38);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვაჟა გილიგაშვილი პ/ნ 01001026956
- საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, ა მიკრო/რაიონი, კორპუსი 2, ბინა 122

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 29 სექტემბრის №3556763 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 10 დეკემბერს №AR1723258 განცხადებით მომართა ვაჟა გილიგაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 29 სექტემბრის №3556763 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 29 სექტემბრის №3556763 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, შუშის ქუჩა №38, (ბაღნარის №2ა) / ქალაქ თბილისში, ბაღნარის ქუჩა №2ა (შუშის ქუჩა №38) (ნაკვეთი: 017/081), მოქალაქე გრიგოლ კარანაძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.11.04.017.081), საამქრო/სტამბის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 29 სექტემბრიდან 2020 წლის 29 იანვრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით აღარ არსებობს ზემოაღნიშნული აქტის შესაბამისად მშენებლობის განხორციელების ინტერესი და ითხოვს სამსახურის 2017 წლის 29 სექტემბრის №3556763 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

განმცხადებლის მიერ 2019 წლის 10 დეკემბრის №AR1723258 განცხადებაზე წარმოდგენილია ფოტომასალა, რომლითაც დასტურდება, რომ დღევანდელი მდგომარეობით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე მშენებლობა ნაწარმოები არ არის.

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (განცხადების რეგისტრაცია: №902019953630; მომზადების თარიღი: 03/01/2020) ქალაქ თბილისში, შუშის ქუჩა №38, (ბაღნარის №2ა), ქალაქ თბილისში, ბაღნარის ქუჩა №2ა (შუშის ქუჩა №38) №01.11.04.017.090 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,როიალ ლამი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 400132101).

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრის ამონაწრის მიხედვით, შპს ,,როიალ ლამის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 400132101) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ვაჟა გილიგაშვილი, შესაბამისად დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე ვაჟა გილიგაშვილის 2019 წლის 10 დეკემბრის №AR1723258 განცხადება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 29 სექტემბრის №3556763 ბრძანება
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.